პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1987 წ. № 222 (9633) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის განათლების სამინისტროში

**ამ დღეებში** სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს წინადადება სკოლებში ყოველდღიური „ჯანმრთელობის საათის“ შემოღების შესახებ. „ჯანმრთელობის საათი“ მნიშვნელოვნად გაზრდის მოსწავლეთა კვირეული მოძრაობითი რეჟიმის მოცულობას.

მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს წინადადება მიეცათ შესაბამისი ორგანიზაციული მუშაობა გასწიონ, სასკოლო კოლექტივებში გაატარონ ღონისძიებანი არსებული შესაძლებლობების სრულად გამოსაყენებლად, რათა თითოეული მოსწავლე აქტიურად ჩაებას ფიზკულტურასა და სპორტში ყოველდღიურ მეცადინეობაში.






როგორც ცნობილია, სეულში გაიმართება 1988 წლის ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშები.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — ოლიმპიური თამაშების ოფიციალური ემბლემა. მარჯვნივ — თამაშების თილისმა.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატი

# ლიდერობს თბილისური ტრიო

ჩემპიონატის მოახლოვებულ ფინიშზე სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს, ვინც გამარჯვებულის სახელისთვის იბრძვის. XIV ტურში ყურადღებას იქცევდა ელენა ახმილოვსკაიასა და ნანა იოსელიანის პარტია. მეტოქეებმა გრიუნფელდის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი გაითამაშეს. ახმილოვსკაიამ ლაზიერი სამ ფიგურაში გაცვალა. იოსელიანს პოზიცია გაუუარესდა და მან თავი დამარცხებულად სცნო. ელენა ახმილოვსკაია ლიდერს დაეწია.



კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში ქეთევან არახამიამ. მან ამჯერად ზოია ლელჩუკი დაამარცხა.

ერთგვარი წარუმატებლობის შემდეგ გამარჯვება იზეიმა ნინო გურიელმაც. ალისა გალიამოვასთან შეხვედრაში მან შემართებით იბრძოლა, მოიგო ორი პაიკი და პარტიაც.

მერვე ტურიდან მოყოლებული ციალა ქასოშვილს პარტია აღარ მოუგია—ამ მონაკვეთში მან მხოლოდ 1 ქულა მოაგროვა და საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის დებიუტანტი ფავორიტებთან დამარცხდა. ამ ტურში კი იგი რიგელ ანდა შაფრანსკას ხვდებოდა. რთულ პოზიციაში ბალტიისპირელ მოჭადრაკეს საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

გაგაცნობთ XIV ტურის იმ შეხვედრათა შედეგებს, რომელთა დაბეჭდვა „ლელოს“ წინა ნომერში ვერ მოვასწარით: სემიონოვა—ჩელუშკინა — 1:0, სოფიევა — ხოროვეცი — 0,5:0,5.

ამრიგად, ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს: ნანა იოსელიანი და ელენა ახმილოვსკაია (10-10 ქულა). 9,5 ქულით მათ კვალში მიჰყვება ქეთევან არახამია. 8,5-8,5 ქულით IV-V ადგილებს იყოფენ ნინო გურიელი და რაისა ეიდელსონი. ციალა ქასოშვილს 6 ქულა აქვს.

**თამარ ხუგაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

## გუშინ...

**გთავაზობთ XV ტურის იმ პარტიების ტექნიკურ შედეგებს, რომლებიც გაზეთის დაბეჭდვამდე დამთავრდა: ლელჩუკი-მატვეევა — 1:0, ხოროვეცი-პოლნაროვა — 1:0, ქასოშვილი-სოფიევა — 0:1, ველიხანლი-შაფრანსკა — 0:1, ჩელუშკინა-სტრუტინსკაია 1:0, იოსელიანი-სემიონოვა — 1:0, გურიელი-ახმილოვსკაია — 0,5:0,5, ეიდელსონი-ზაიცევა — 0,5:0,5.**

სსრ კავშირის თასის გათამაშება ნიჩბოსნობაში

## პირველად საქართველოს ნიჩბოსნობის ისტორიაში

**საბჭოთა კავშირის** თასის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში წელს, ფოთში, მდინარე კაპარჭინას ნაპირზე აგებულ ახალ სანიჩბოსნო ბაზაზე ჩატარდა. ვინაიდან ოლიმპიური თამაშები გვიახლოვდება, შეჯიბრებაში პროფკავშირებისა და „დინამოს“ ნაკრები გუნდების გარდა ამ კოლექტივების სარეზერვო შემადგენლობის ყველა წევრი მონაწილეობდა. ორადგილიანი გასაშლელი ნავით (უმესაჭო) ასპარეზობაში ქუთაისელ სპორტსმენთა დუეტმა — გ. სირბილაძემ და ნ. მიქაუტაძემ, რომლებიც საკავშირო პროფკავშირების ნაკრები გუნდის ღირსებას იცავდნენ, ჩინებული მომზადება გამოავლინეს და საქართველოს ნიჩბოსნობის ისტორიაში ჩვენმა ეკიპაჟმა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის თასი. ასევე, პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოს ეკიპაჟი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატთა შორის იმკვიდრებს ადგილს. ახლა ნიჩბოსნებს საკონტროლო შეჯიბრება ელით მინგეჩაურში, შემდეგ კი, 1988 წლის აგვისტოში ქვეყნის ჩემპიონატი ჩატარდება და საბოლოოდ გადაწყდება-თუ ვინ გაემგზავრება სეულის ოლიმპიადაზე.

## კელსინკის ტატამზე

**ფინეთის** ღია ჩემპიონატმა ძიუდოში „გულუხვად“ უმასპინძლა საფრანგეთის, შვეციის, გფრ-ის, ნორვეგიის, უნგრეთისა და სსრ კავშირის „დინამოს“ მოჭიდავე ქალებსა და ვაჟებს.

დინამოელთაგან 78 კგ-ში ოქროს მედალი მოიპოვა ქართველმა ძიუდოისტმა **ლერი ნაკანმა.** 86 კგ-ში კი უძლიერესი იყო პერმელი ვ. შესტაკოვი, რომელმაც ფინალში რიგელ ვ. ვორონოვს სძლია. ტურნირმა არც საბჭოთა ქალებს „დასწყვიტა“ გული — ოქროს მედალს დაეუფლა აშხაბადელი ოქსანა კოკორინა (66 კგ), ვერცხლისას — მინსკელი გალინა მიხალი (72 კგ).

გამოხმაურება წერილზე: „შემოგვთავაზეთ თქვენი წინადადება“

## ფიზკულტურის კოლექტივშიც ვიზეიმოთ

მთელი კოლექტივი გაგვახარა ცნობამ, რომ წლის საუკეთესო სპორტსმენებთან შეხვედრები, რასაც შარშან ჩაეყარა საფუძველი, მომავალშიც გაგრძელდება. გავეცანი ელმავალმშენებელი ქარხნის მუშის ჰენრი გურგენიძის წინადადებას, რომ იმ დღეს, როცა ეს ზეიმი გაიმართება, ცნობილი სპორტსმენები ეწვიონ შრომით კოლექტივს, რომ ამ ღონისძიებამ მთელი რესპუბლიკა მოიცვას, ადგილებზეც შეხვდნენ თავიანთ რჩეულ სპორტსმენებს. მხარს ვუჭერ ამ წინადადებას და ჩემი მხრიდან მინდა დავამატო: დაე, თითოეულ ფიზკულტურულ კოლექტივშიც მოეწყოს შეხვედრები შრომების მოწინავე სპორტსმენებთან. ეს იქნება კოლექტივის წინაშე ფიზკულტურის საბჭოს თუ სპორტული კლუბის თავისებური ანგარიში. ასეთი ღონისძიება აამაღლებს პასუხისმგებლობას, ყველაფერი ხომ ფიზკულტურული კოლექტივიდან იწყება. თუ ამ წინადადებას მიიღებთ, მაშინ იმ დღეს ყველგან ერთნაირი ზეიმი იქნება და... აქვე ჩნდება აზრი — რა ვუწოდოთ ამ დღეს? იქნებ „სპორტული წლის მონაგარი“ ან სხვა მსგავსი რამ დავარქვათ. მერწმუნეთ, ამით კარგ ტრადიციას ჩაეყრება საფუძველი.

**ბიძინა რიმნიხთაველი,**
ფაბრიკა „ისანის“ ბრიგადის ბრიგადირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

# მსოფლიო თასი ზაურ ივანიშვილსა და გურამ გედეხაურს

**მსოფლიო** თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში გუნდური შეჯიბრებაა, მაგრამ ოქროს მედლებს წარმატებით გამოსვლისათვის ცალკეული წონითი კატეგორიის წარმომადგენლებიც იღებენ. ამ ტურნირს არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. თასის პირველი, დამფუძნებელი გათამაშება მოეწყო 1980 წელს შვეციის ქალაქ ტრელებორგში. მას შემდეგ შეჯიბრებას მასპინძლობდნენ სოფია (ბულგარეთი) და ბუდაპეშტი (უნგრეთი), სალონიკი (საბერძნეთი) და სეინეეკი (ფინეთი), ლუნდე (შვეცია). შარშან ტურნირი ჩიკაგოში (აშშ) ჩატარდა, წლეულს კი აშშ-ს მეორე ქალაქ ოლბანში (ნიუ-იორკის შტატი).

როცა გუნდი გუნდს ებრძვის ყოველი მოჭიდავის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან კოლექტივის წარმატება მათი შედეგების მიხედვით ჯამდება. საბჭოთა კავშირის ნაკრებს ოთხი შეხვედრის ჩატარება მოუხდა და ყველა ერთნაირი შედეგით 9:1 მოიგო. ჩვენებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს კუბის, ამერიკის შეერთებული შტატების, სკანდინავიისა და იაპონიის გუნდები.

ანგარიში 9:1 იმას ნიშნავს, რომ ყოველ შეხვედრაში ერთი მოჭიდავე დამარცხებული ტოვებდა სარბიელს. სამწუხაროდ, ეს მოჭიდავე გომელელი ნუხ იახიაევი (57 კგ) იყო, რომელმაც ტრავმა მიიღო და შეჯიბრების გაგრძელება ველარ შეძლო. ე. ი. ჩვენი გუნდი ყველა მეტოქეს იძულებით ფორას აძლევდა და შეხვედრას იწყებდა ანგარიშით — 0:1.

ამის მიუხედავად, ნაკრების ყველა წევრმა ბრწყინვალედ იჭიდავა და კოლექტივის წარმატებაში ერთნაირი წვლილი შეიტანა. ოქროს მედლებით დაჯილდოებულთა შორის ქართული საჭიდაო სკოლის ორი წარმომადგენელიცაა — ზაურ ივანიშვილი (90 კგ) და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი გურამ გედეხაური (100 კგ).

წონითი კატეგორიების მიხედვით მსოფლიო თასის მფლობელები გახდნენ: მიაგატდინ ალახვერდიევი (ბაქო), ანატოლი რომანიუკი (ნიკოლაევი), ვასილი ვოზნი (ვოროშილოვგრადი), ნიკოლოზ კოვალენკო (ომსკი), ბესოლტ დეციევი (ალმაათა), ვიქტორ მალოვი (მოსკოვი), ზაურ ივანაშვილი, გურამ გედეხაური (ორივე — თბილისი), ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

ადგილობრივმა პრესამ ყველა საბჭოთა მოჭიდავის გამოსვლას მაღალი შეფასება მისცა, მაგრამ განსაკუთრებით გამოჰყო ალექსანდრე კარელინის ჭიდაობა, რომელმაც წმინდად დაამარცხა ამერიკელი „გიგანტი“, ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჯეფრი ბლატნიკი. შეგახსენებთ, რომ კარელინი ჩვენი ნაკრების დებიუტანტია და მას სულ ახლახან შეუსრულდა 20 წელი.

გათამაშებაში მეორე ადგილზე კუბის ნაკრები გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში აშშ-ს გუნდი დაამარცხა — 5:4. ამერიკელებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

## ქართველ ფალავანთა ნადავლი

**ზაპოროჟიეში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში. 82 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა პაექრობაში ყველას აჯობა თბილისელმა ბეგი დარჩიამ, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

მესამე ადგილები დაიკავეს ქუთაისელმა ვასილ ონიანმა (62 კგ) და თბილისელმა ჯემალ ბაკურიძემ (74 კგ).



## ხუთჭიდელთა სამჭიდი

ბოლო ხანს ხუთსახეობის რაინდთა სპორტს, რომელიც თავს უყრის ცხენოსნურ კონკურს, ფარიკაობას, პისტოლეტით სროლას, ცურვასა და მძლეოსნურ კროსს, ერთგვარი კონკურენტი გამოუჩნდა.

კონკურენტი რომ ვამბოთ, ეს ერთი შეხედვითაა ასე, თორემ აქაც იგივე ხუთჭიდელები გამოდიან და არც თავიანთი ამპლუა შეუცვლიათ. ეგ არის, რომ პროგრამაა შეკვეცილი და შეჯიბრება მხოლოდ ტექნიკურ სახეობებში (ასე უწოდეს მას) ტარდება — ფარიკაობაში, სროლასა და საცხენოსნო კონკურსში.

საქართველოს პირველობაზე, რომელიც გუშინ თბილისის ასკ-ის ახალ სპორტულ კომპლექსში დაიწყო, რესპუბლიკის სხვადასხვა ასაკის თითქმის ყველა ხუთჭიდელი ცდის თავის ძალას ვახტანგ იაგორაშვილის, იგორ ბრიზგალოვისა და იური ვერბიცკის გარდა.

ს უ რ ა თ ზ ე: ასპარეზობის პირველი დღე — შეჯიბრება ფარიკაობაში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

პროექტი

# პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წესდება

### VII. საზოგადოების ფიზიკური კულტურის კოლექტივი

42. საზოგადოების საფუძველია პირველადი ორგანიზაციები — ფიზიკური კულტურის კოლექტივები (სპორტული კლუბები), რომლებიც იქმნება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებში არანაკლებ 15 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც სურთ გახდნენ საზოგადოების წევრები, მეცადინეობენ ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში.

43. ფიზიკური კულტურის კოლექტივის შექმნის საკითხს გადაწყვეტს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, კოლმეურნეობის, სასწავლო დაწესებულების პროფკომი და საზოგადოების სარაიონო ან საქალაქო ორგანიზაციის საბჭო.

44. ფიზკულტურული სამუშაოს ჩასატარებლად მცირერიცხოვანი საწარმოების, ორგანიზაციებისა და სასწავლო დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა შორის, სადაც არ არის შესაძლებელი დამოუკიდებელი ფიზიკური კულტურის ორგანიზაციის ჩამოყალიბება, იქმნება ფიზიკური კულტურის გაერთიანებული კოლექტივი ტერიტორიალური და დარგობრივი პრინციპით. საზოგადოების წევრთა გადაწყვეტილებითა და პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით შეიძლება მოხდეს ფიზიკური კულტურის გაერთიანებული კოლექტივისთვის ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამუშაოდ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების კოოპერირება მეთაური პროფკავშირული ორგანიზაციის ბაზაზე.

45. ფიზიკური კულტურის კოლექტივი რეგისტრირდება საზოგადოების სარაიონო, საქალაქო ან საოლქო საბჭოს ან ფიზიკური კულტურისა და სპორტის სარაიონო ან საქალაქო კომიტეტის მიერ.

46. ფიზიკური კულტურის კოლექტივს, რომელიც მიაღწევს მაღალ მაჩვენებლებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში და შეასრულებს სპორტული კლუბის შესახებ დებულების პირობებს, შეიძლება მიენიჭოს „სპორტული კლუბის" წოდება.

47. ფიზიკური კულტურის კოლექტივები, სპორტული კლუბები, რომლებიც მუშაობენ პროფკავშირის რაიონული კომიტეტის უფლების მქონე პროფკავშირული კომიტეტის ხელმძღვანელობით, თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის საბჭოს უფლებით.

48. ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბის) უმაღლესი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება (კონფერენცია), რომელიც მოიწვევა საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

49. საერთო კრება (კონფერენცია) ისმენს და განიხილავს ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბის) საბჭოს ანგარიშს, პროფკავშირის კომიტეტის სარევიზიო კომისიის ცნობას ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, სპორტულ-მასობრივი სამუშაოსთვის გამოყოფილი თანხის გამოყენების, სპორტული ინვენტარის არსებობისა და შენახვის, საზოგადოების საწევრო შესატანების გადახდის შესახებ, იღებს გადაწყვეტილებას ანგარიშების თაობაზე.

50 საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ყოველდღიური სამუშაოს წარსამართავად კოლექტივების წევრების საერთო კრებაზე, დელეგატთა კონფერენციაზე ირჩევა საბჭო, ხოლო სპორტულ კლუბებში საბჭოს წევრთაგან — პრეზიდიუმი პროფკავშირის კომიტეტის უფლებამოსილობის ვადით. თავისი შემადგენლობიდან საბჭო (პრეზიდიუმი) ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს, ანაწილებს მოვალეობებს საბჭოს (სპორტული კლუბის პრეზიდიუმის) წევრთა შორის.

51. ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბის) საერთო კრება (კონფერენცია) უფლებამოსილია გადაწყვიტოს ანგარიშებისა და არჩევნების საკითხები მისი მუშაობის დროს ფიზიკური კულტურის (სპორტული კლუბის) კოლექტივის წევრთა ნახევარზე მეტის, კონფერენციის დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედის მონაწილეობით.

52. საამქროებში, სამსახურებში, სამმართველოებში, ფაკულტეტებზე იქმნება საამქროების ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებშიც აირჩევა ფიზიკური კულტურის კოლექტივების საამქროს საბჭოები, რომლებიც მუშაობენ საამქროს პროფკავშირული კომიტეტის (პროფბიუროს) და ფიზიკური კოლექტივის საბჭოს (სპორტული კლუბის პრეზიდიუმის) ხელმძღვანელობით.

პროფკავშირული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პროფჯგუფორგის დასახმარებლად ირჩევა ფიზკულტურული ორგანიზატორი (ფიზორგი).

53. ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭო (სპორტული კლუბის პრეზიდიუმი) მუშაობს პროფკავშირული კომიტეტისა და საზოგადოების ზემდგომი საბჭოს ხელმძღვანელობით, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში.

54. ფიზიკური კულტურის კოლექტივის (სპორტული კლუბის) ამოცანებია:

54. 1. საზოგადოების წევრთა საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური იდეალებისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებისა და ერთგულების სულისკვეთებით აღზრდა.

54. 2. ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მობილიზება შრომითი კოლექტივის ეკონომიური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად, მათი საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის ასამაღლებლად.

54. 3. მშრომელთა, მათი ოჯახების წევრთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა საზოგადოების წევრობაში, ფიზიკურ კულტურაში, სპორტში და ტურიზმში, საწარმოო ტანვარჯიშში რეგულარულად სავარჯიშოდ, გამაჯანსაღებელი მიმართულების ჯგუფებსა და კლუბებში ჩაბმა დროებითი შრომისუუნარობით გამოწვეული დანაკარგების შესამცირებლად.

54. 4. შრომითი კოლექტივისა და მათი ოჯახების წევრთა მომზადება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმების ჩასაბარებლად.

54. 5. საამქროთა ფიზკულტურული ორგანიზაციების, ფიზორგების, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების, კლუბებისა და ინტერესების მიხედვით სამოყვარულო გაერთიანებების, სპორტული სექციებისა და გუნდების ხელმძღვანელობა.

54. 6. მოსახლეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, მათ შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მუშათა და სტუდენტთა სპარტაკიადების, შეჯიბრებების, ფიზკულტურული დღესასწაულების, ტურისტული ლაშქრობების ჩატარება.

54. 7. საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრებისა და აქტივის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

54. 8. სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად საექიმო კონტროლის განხორციელება ფიზიკური კულტურით, სპორტითა და ტურიზმით მომეცადინეთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

54. 9. მონაწილეობა საწარმოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმის, კოლექტიური ხელშეკრულების დარგობრივ კომპლექსურ პროგრამა „ჯანმრთელობის" და ფიზკულტურულ-მასობრივი, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის საკითხებზე სოციალისტური შეჯიბრების პირობების დამუშავებაში, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის შესრულება.

54. 10. სოციალისტური შეჯიბრებისა და დათვალიერება-კონკურსების ორგანიზება საამქროების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის უკეთესად წარმართვისთვის.

54. 11. ადმინისტრაციასთან და პროფკავშირის კომიტეტთან ერთად სპორტული ნაგებობების მშენებლობაში მონაწილეობა. მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობების მშენებლობის ორგანიზება საზოგადოებრივ საწყისებზე.

54. 12. დახმარების გაწევა საშეფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის, პროფტექგანათლების სასწავლებლებისთვისა და პიონერთა ბანაკებისთვის ბავშვებსა და მოზარდებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის ორგანიზების საქმეში.

54. 13. სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება და I, II, III მოზარდთა და II, III თანრიგების, ხოლო სპორტულ კლუბებში — ასევე I თანრიგისა და სპორტის ოსტატობის კანდიდატობის მინიჭება.

54. 14. სპორტული ნაგებობების, ინვენტარისა და მოწყობილობის მოვლა-პატრონობის და ეფექტურად მოხმარების უზრუნველყოფა, ფიზკულტურულ-სპორტული სამუშაოსთვის გამოყოფილი ფულადი თანხების ეკონომიური ხარჯვა.

55. ფიზიკური კულტურის კოლექტივი (სპორტული კლუბი) მუშაობას ეწევა ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭოს (სპორტული კლუბის პრეზიდიუმის) მიერ დამტკიცებული მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების თანახმად, უზრუნველყოფს მათ შესრულებას.

56. ფიზიკური კულტურის პროპაგანდის შესაძლებლობების უკეთ გამოყენებისთვის, კულტურულ-სპორტული და სხვა ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის ფიზიკური კულტურის კოლექტივი (სპორტული კლუბი) შეიძლება შედიოდეს კულტურულ-სპორტული კომპლექსის შემადგენლობაში.

### VIII. საზოგადოება და სახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანიზაციები

57. პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება თავის სამუშაოს ახორციელებს სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან და ადგილებზე მის ორგანოებთან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, ექსკურსიებისა და ტურიზმის საბჭოებთან, დოსააფის, წყალმაშველ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

### IX. საზოგადოების სახსრები და ქონება

58. პროფკავშირების საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სახსრები იქმნება საზოგადოების წევრთა ყოველწლიური საწევრო შესატანებიდან, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტიური საწევრო შესატანებიდან, ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემოსავლიდან მიღებული ანარიცხებიდან, ფასიანი სპორტული ღონისძიებების გამართვიდან, მოსახლეობის ფასიანი მომსახურებიდან და სხვა შემოსავლებიდან.

59. საზოგადოების წევრებისთვის საწევრო გადასახადი დადგენილია წელიწადში 30 კაპიკის ოდენობით. ობოლი ბავშვები, მშობელთა ურვის გარეშე დარჩენილი ბავშვები, ბავშვთა სახლების აღსაზრდელები და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეები საწევრო გადასახადებისგან განთავისუფლებული არიან.

საწევრო შესატანის გადახდა ხორციელდება უწყისით და დასტურდება საწევრო წიგნაკში საზოგადოების მარკის ჩაკვრით.

საზოგადოების კოლექტიური წევრები იხდიან დადგენილ საწევრო შესატანებს.

60. საზოგადოების სახსრები გამოიყენება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული სამუშაოს, სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად, ფიზკულტურული კადრებისა და აქტივის მოსამზადებლად, სპორტული და ტურისტული ინვენტარის შესაძენად, სპორტული ბაზების ასაშენებლად, სარემონტოდ და მოსაწყობად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის, ფიზკულტურული აქტივის წასახალისებლად და სხვა ღონისძიებებისთვის.

61. საზოგადოების ქონება სოციალისტური საკუთრებაა. საზოგადოების საკუთრებაშია შენობები, ნაგებობები, საწარმოები, სპორტული ბაზები, ინვენტარი, მოწყობილობები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად.

62. კონტროლს საზოგადოების რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და სარაიონო საბჭოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ახორციელებენ სარევიზიო კომისიები, საზოგადოების ზემდგომი საბჭოები და აგრეთვე პროფკავშირების შესაბამისი საბჭოები.

63. ბიუჯეტები და ანგარიშები საზოგადოების მიერ ბიუჯეტების შესრულების თაობაზე მტკიცდება ზემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ახორციელებენ დაფინანსებას.

64. საზოგადოების საკავშირო საბჭოს შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს საკავშირო პროფსაბჭო.

65. საზოგადოების ორგანიზაციებში საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგება ხდება საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დადგენილი წესით.

### X. საზოგადოების ორგანოებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებები

66. საზოგადოების საკავშირო, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, სარაიონო საბჭოები, მათ დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებიან, ითვლებიან იურიდიულ პირებად, აქვთ მიმდინარე ანგარიში სახბანკის განყოფილებებში და ბეჭედი საზოგადოების დასახელებით.

67. საზოგადოებას აქვს: თავისი დროშა, ვიმპელი, სპორტული მედლები, ჟეტონები, „საზოგადოების საპატიო წევრის" ნიშანი, სპორტული ფორმა, ემბლემა და სამკერდე ნიშანი.

უფლება აქვს გამოსცეს საინფორმაციო ბიულეტენები და სხვა მასალები, რომლებიც საზოგადოების მუშაობას ეხება.

საზოგადოების რესპუბლიკურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ ჰქონდეთ სახელი, ემბლემა, დროშა, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი, სპორტული ჟეტონი, ფორმა, რომლებიც დამტკიცებულია საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ საზოგადოების საკავშირო საბჭოსთან შეთანხმებით.

68. საზოგადოებამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით.

**გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 219, 220, 221.**

---

## პირველ ლიგაში

**ლვოვში** გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის საკავშირო ჩემპიონატი. VII ტურში თბილისელმა ოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ ნახევარი ქულა შესძინა თავის აქტივს. იგი დაუზავდა თეთრებით მოთამაშე ა. ვიყმანავინს. ყაიმია მოსალოდნელი ლაშასა და ხარკოველ დიდოსტატ მიხეილ გურევიჩის VIII ტურის პარტიაშიც, რომელიც თანაბარ პოზიციაში გადაიდო. IX ტურში კი იგი მოსკოველ ა. კაიდანოვთან დამარცხდა. კვლავ წარუმატებლად თამაშობს თბილისელი დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი. იგი დამარცხდა მოსკოველ ევგენი ბარეევთან და ლენინგრადელ ლევ იუდასინთან, IX ტურის პარტია კი გადადო ჩელიაბინსკელ ა. პანჩენკოსთან.

ამ ტურების სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩერნინი-დრეევი — 0,5:0,5, კაიდანოვი-პანჩენკო — 1:0, გავრიკოვი-ივანჩუკი — 0,5:0,5; დრეევი-მიხალჩიშინი — 1:0, ივანჩუკი-ლპუტიანი — 1:0, პანჩენკონოვიკოვი — 0,5:0,5, მალიშაუსკასი-კაიდანოვი — 0:1; ვიყმანავინი-დრეევი — 0:1, გურევიჩი-ჩერნინი — 0,5:0,5, ნოვიკოვი-მალიშაუსკასი — 0,5:0,5, გავრიკოვი-ბარეევი — 0,5:0,5, ლპუტიანი-რომანიშინი — 0,5:0,5. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

მოეწყო აგრეთვე წინა ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება. აი, მათი შედეგები — I ტური: ზაიჩიკი-როზენტალისი — 0:1; III ტური: გურევიჩი-რომანიშინი — 0,5:0,5, ნოვიკოვი-მიხალჩიშინი — 1:0; IV ტური: დრეევი-გავრიკოვი — 0:1, ლპუტიანი-როზენტალისი — 1:0, მიხალჩიშინი-ზაიჩიკი — 1:0, რომანიშინი-კაიდანოვი — 1:0, პანჩენკო-ჩერნინი — 0,5:0,5; V ტური: როზენტალისი-მიხალჩიშინი — 1:0; VI ტური: მალიშაუსკასი-ვიყმანავინი — 0,5:0,5.

ამრიგად, 9 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ვ. ივანჩუკი — 6 (1), ლ. იუდასინი — 5 (2), გ. კაიდანოვი, ა. დრეევი — 5-5 (1-1). ლ. ჯანჯღავას 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

---

## მოკლედ

### კონსტიტუციის თასი

დამთავრდა თერჯოლის რაიონის საშუალო სკოლების პირველობა ფეხბურთში კონსტიტუციის თასზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თერჯოლის მეორე და კვახჭირის საშუალო სკოლების გუნდები.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს კვახჭირის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. კაკაურიძე).

ვ. კუტალაძე

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**დამთავრდა** სსრ კავშირის 50-ე საიუბილეო ჩემპიონატი ფეხბურთში. 16 ნოემბერს კიევში შედგა პირველობის ბოლო მატჩი, ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ლანჩხუთის „გურია". ამ მატჩის შესახებ ტელეფონით შეგვატყობინა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ.**

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა ღირსეულად ითამაშეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან, თუმცა, მატჩის შედეგს მათთვის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მაგრამ სასიამოვნოა ის, რომ გუნდმა ასეთ შემთხვევაშიც ღირსეულად იბრძოლა.

კიეველებმა პირველ წარმატებას 29-ე წუთზე მიაღწიეს, როცა მიხაილიჩენკომ კარგად გამოიყენა ბელანოვის გადაცემა და ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში, შემდეგ კი, 34-ე წუთზე, ბელანოვმა საკუთრივ გამოიჩინა თავი და ანგარიში 2:0-მდე აიყვანა.

ასეთი ანგარიშის მიუხედავად სტუმრები შესვენების შემდეგაც ენერგიულად იბრძოდნენ და მორიგი კონტრიერიშის დროს, 69-ე წუთზე, ვარნავსკიმ შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა. გამარჯვება კიეველებს ხვდათ წილად — 2:1.

მატჩს 15 ათასამდე მაყურებელი დაესწრო, გუნდების შემადგენლობანი: **„დინამო"** — ჩანოვი, ბესონოვი (იარემჩუკი, 46), ევსეევი, გოროლი, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, შმატოვალენკო, მიხაილიჩენკო (ევტუშენკო. 62), ბელანოვი, ბლოხინი; **„გურია"** — ქანთარია (იმნაძე, 77), მიქაბერიძე, რომანჩუკი, თევზაძე, ვარნავსკი, ხლუსი, მახარაძე, ტყებუჩავა, ჯიშკარიანი, ბონდარუკი, აკოფიანი. მსაჯი — ვ. ფილიპოვი (მოსკოვი). დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 4:2.

გთავაზობთ ჩემპიონატის დასკვნითი მატჩების სტატისტიკურ მონაცემებს:

**„ტორპედო" — „არარატი" 3:1 (1:1).** პირველი ბურთი ერევნელმა ქოჩარიანმა გაიტანა, შემდეგ კი აგაშკოვმა, ნ. სავიჩევმა და შირინბეკოვმა დააწინაურეს „ტორპედო".

გააფრთხილეს ერევნელი გალუსტიანი.

დუბლიორები — 3:0.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ თბილისელ არბიტრთა შემადგენლობით: ვ. მიმინოშვილი, თ. ლაცაბიძე, მ. ჰელიძე.

**„დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" 2:1 (2:1).** გოლები: ვასილიევი, კარატაევი („დინამო"), დანილოვი („ზენიტი").

დუბლიორები — 4:0.

**ცსკა — „ქაირათი" 2:0 (1:0).** ორივე ბურთი არმიელმა ბროშინმა გაიტანა.

დუბლიორები — 3:1.

**„დნეპრი" — „დინამო" (მინსკი) 2:2 (1:1).** გოლები: კონდრატიევი-2 („დინამო"), პროტასოვი-2 („დნეპრი").

**18 გატანილი გოლით სსრ კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თავდამსხმელმა ოლეგ პროტასოვმა.**

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ჩერედნიკი და ლიუტი.

დუბლიორები — 5:3.

**„მეტალისტი" — „ნეფთჩი" 0:2 (0:0).** ბურთები: ჯავადოვი და აჰმედოვი.

გააფრთხილეს ხარკოველი ივანოვი და ბაქოელი ჰუსეინოვი.

დუბლიორები — 1:0.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ფინალური მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა" და ხარკოვის „მეტალისტს" შორის 18 ნოემბერს შედგება მოსკოვის „ოლიმპიურის" სპორტკომპლექსის ხელოვნურსაფარიან მინდორზე.

დადგინდა სსრ კავშირის თასის მერვედფინალის მატჩების თარიღები კიევის „დინამოსა" და ვოლგოგრადის „როტორს" შორის. პირველი შეხვედრა გაიმართება კიევში 20 ნოემბერს, ხოლო მეორე — ვოლგოგრადში 24 ნოემბერს.

# ევროპის ჩემპიონატი—

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში, რომლის მატჩები მერმისს ივნისში გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში, მასპინძელთა გარდა მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, ინგლისის, იტალიის, დანიისა და ირლანდიის გუნდები.

ვაკანტურია კიდევ ორი ადგილი. I ჯგუფში ფინალის საგზურისთვის იბრძოლებენ რუმინეთისა და ესპანეთის გუნდები, ხოლო V ჯგუფში საგზურის პრეტენდენტები არიან ჰოლანდიისა და საბერძნეთის ფეხბურთელები.

II ჯგუფში მალტის ნაკრებმა თავის მინდორზე მიიღო შვეიცარიის გუნდი, თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს ცვიკერმა (შვეიცარია) და ბუზუტიმ (მალტა).

# ოლიმპიურ სარბიელზე

**ევროპის IV შესარჩევ ჯგუფში შედგა მომავალი ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის მატჩი ბულგარეთისა და ნორვეგიის გუნდებს შორის. ბულგარელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე, სოფიაში, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0.**

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 9 |
| შვეიცარია | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-2 | 4 |
| ნორვეგია | 7 | 0 | 4 | 3 | 1-7 | 4 |
| თურქეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-7 | 3 |

ამ ჯგუფში წლეულს შედგება კიდევ ორი მატჩი: თურქეთი — ნორვეგია, თურქეთი — ბულგარეთი.

# მატჩი — ძვირფასი საჩუქარი

**მთავრდება მორიგი საფეხბურთო სეზონი. მან ზოგს სიხარული მოუტანა, ზოგს — იმედის გაცრუება, ჩვენი ფეხბურთის რეკორდსმენ ოლეგ ბლოხინისთვის კი, თვით ფეხბურთელის თქმით, იგი უკანასკნელი სეზონია კიევის „დინამოში".**

დრო ულმობელია. როგორც ჩანს, ცხრა მთას იქით აღარ არის ჩვენს სხვა სახელოვან ფეხბურთელებთან — ალექსანდრე ჩივაძესთან, რამაზ შენგელიასთან, ლეონიდ ბურიაკთან, იური გავრილოვთან და სხვებთან განშორების ჟამიც. ...გასაგებია, მათგან ვერც ერთი ვერ გეტყვით, რომელი მატჩი იქნება უკანასკნელი, მაგრამ აჯობებს, თუ თითოეულს ეცოდინება, დარწმუნებული იქნება, რომ სპორტში მისი სახელიანი გზა დასრულდება არა რომელიმე რიგითი თამაშით, არამედ ხალხით გაჭედილ სტადიონზე გამართული ბენეფისით. ასეთ მატჩზე მოვა ყველა, ვინც მრავალი წლის მანძილზე დადიოდა არა მარტო უბრალოდ „სპარტაკის", კიევის თუ თბილისის „დინამოს" გუნდების მონაწილეობით გამართულ შეხვედრებზე, არამედ — საყვარელი ფეხბურთელის სანახავადაც.

მატჩის უშუალო მოწმეებს და უზარმაზარ ტელეაუდიტორიას დღემდე ახსოვთ ფეხბურთიდან ლევ იაშინის გაცილება. მსოფლიოს საუკეთესო მეკარის გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ 16 წელიწადზე მეტი გავიდა, იმ ჭეშმარიტი სპორტული ზეიმის ეპიზოდები კი ახლაც თვალწინ გვიდგას. ფეხბურთის ამგვარი პროპაგანდა ბევრ პროზასა თუ სააგიტაციო პლაკატზე თვალსაჩინო და ქმედითია.

სამწუხაროდ, ამგვარი მატჩები ჩვენში ძალზე იშვიათად ეწყობა. გულსატკენია, რომ ასე შეუმჩნევლად წავიდნენ დიდი ფეხბურთიდან გამოჩენილი ოსტატები ვ. კოლოტოვი, ვ. ვერემეევი, ა. კონკოვი, დ. ყიფიანი, ვ. გუცაევი, ვ. გაზაევი, ფეხბურთის ზოგიერთი სხვა შემოქმედი, რომელთაც მრავალი წლის მანძილზე ტაშს უკრავდა გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია. თითოეული მათგანი ნამდვილი პიროვნება იყო არა მარტო მინდორზე; თითოეულმა მათგანმა დაიმსახურა, რომ ხალხის წინაშე, მაყურებელთა მასის თვალწინ მისთვის კეთილი სიტყვა ეთქვათ. ამასთან დაკავშირებით ვახსენდება გრანდიოზული წარმატება მიხეილ მესხის გამოსათხოვარი მატჩისა, როცა 1969 წელს თბილისის „დინამო" ურუგვაის „ნასიონალს" შეხვდა. იმ დღეს შესანიშნავი ფორვარდისათვის არ შეიძლება შთაგონებას ეღალატა. მიხეილ მესხი შეუდარებელი იყო და ასეთად დარჩა მადლიერ თაყვანისმცემელთა ხსოვნაში. თვით სპორტსმენის აღიარებით, ის მატჩი მისთვის ტურნირებში მოპოვებულ ბევრ ჯილდოზე ძვირფასია.

საზღვარგარეთაც დიდ მოთამაშეთა გაცილებისას ხშირად იწვევენ უცხოეთის პოპულარულ კლუბებს. მოსკოვის „დინამო", მაგალითად, მონაწილეობდა ბენეფისებში, რომლებიც თავიანთი ფეხბურთელების პატივსაცემად მოაწყვეს პორტუგალიის „ბენფიკამ" და ინგლისის კლუბმა „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა". ინგლისელები „ვალში არიან" მოსკოვის „სპარტაკის" წინაშეც, რომელმაც 1973 წელს „დერბი ქაუნთისთან" შეხვედრისას მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ეროვნული ნაკრების მოთამაშე ტ. ჰენესის საზეიმო გაცილებაში.

დიდი ხნის მანძილზე მსოფლიო კლასის ფეხბურთელთა კოჰორტის ღირსეული წევრი იყო ოლეგ ბლოხინიც. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ინტერნაციონალური ნაკრები გუნდების მატჩებში. ეჭვი არ არის, მის მოწვევას გამოეხმაურებოდნენ საფეხბურთო ელიტის წარმომადგენლები ყველა კონტინენტიდან, მისი თანაგუნდელები — სსრ კავშირის ნაკრების წევრები. შეხვედრის მონაწილენი, დარწმუნებული ვართ, მხარს დაუჭერდნენ იმ აზრს, რომ მატჩის შემოსავალი, ვთქვათ, ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდის ანგარიშზე გადარიცხულიყო.

გამოსათხოვარი მატჩი მარტო გულშემატკივრებისთვის არ არის გამიზნული. ასეთი შეხვედრა ძვირფასი საჩუქარია, რომელსაც ფეხბურთელს მისი თაყვანისმცემლები უძღვნიან.

**ვ. ალეშინი,**
**სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.**

„პრავდა", 17 ნოემბერი 1987 წ.

### სპორტსმენები მშვიდობის სადარაჯოზე!

# ნაწრთობი დაგვიბრუნდება

**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის I-II-კურსელ ვაჟთა ერთი ნაწილი დღეს საბჭოთა არმიის რიგებშია. ჩვენი ბიჭების სასახელო საქმეების შესახებ სამხედრო ნაწილებიდან მადლობის წერილებს ვღებულობთ. ბევრი სტუდენტი საპატიო სიგელით ხელდამშვენებული უბრუნდება ინსტიტუტს.**

ამას წინათ სასწავლებლის კოლექტივმა, განსაკუთრებით ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრამ კიდევ ერთხელ გაიხარა — შვებულებით ჩამოსულმა სტუდენტმა, ინსტიტუტის ფეხბურთელთა პირველი გუნდის ყოფილმა მეკარემ დათო ფეიქრიშვილმა პროფესორ-მასწავლებლები მოინახულა. მეც გამახარა მისმა სტუმრობამ, რადგან დათომ ჩემს საგანში — სპორტის ისტორიაში უმაღლესი ნიშანი დაიმსახურა, თანაც სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მოამზადა შესანიშნავი მოხსენება: „თბილისის გარეუბნის სპორტული ტრადიციებიდან", რომელშიც ეთნოგრაფიული კვლევის ნიადაგზე დაადგინა გასული საუკუნის წავკისელი (დათოც ამ სოფლიდანაა) სპორტსმენების, კერძოდ, დიდი მოჭიდავისა და მოკრივის ვანო წავკისელის (ფეზუაშვილის) ბიოგრაფია და დაკარგული ფურცელი დაუბრუნა ქართული სპორტის ისტორიას. მოხსენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე.

დათო ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის წვრთნას დაესწრო. ჯარში სამსახურის ამბები გამოვკითხე.

— არ მეგონა, — მითხრა მან, — სამხედრო სამსახური ფიზიკური და გონებრივი აღზრდის საუკეთესო კერაც თუ იქნებოდა. მეც ვეცადე ჩემი ინსტიტუტი და ამხანაგები არ შემერცხვინა და გულმოდგინებისთვის სერჟანტის წოდება მომანიჭეს, ჩამაბარეს ათეული, ამირჩიეს ქვედანაყოფის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად. ახლა პარტიაში შესასვლელად ვემზადები. ჩემი ნაწილი სამხედრო მშენებლობას ემსახურება. ბიჭებმა მხარი დამიჭირეს და დავალებებს პირნათლად ვასრულებთ. შვებულებაც ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მომცეს.



დათომ მომცრო ჩემოდანი გახსნა და მიჩვენა სიგელები, რომლებიც კეთილსინდისიერი სამსახურისათვის მიიღო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან. „ჯილდოვდება სამხედრო მშენებელი, ეფრეიტორი დავით აბესალომის ძე ფეიქრიშვილი, სამსახურებრივი დავალების საუკეთესოდ შესრულებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, სამშენებლო სამხედრო ნაწილისა და კომკავშირული ორგანიზაციების სანიმუშო ხელმძღვანელობისათვის" — ვკითხულობ 1987 წლის ივლისში გაცემული საპატიო სიგელის ფურცელზე.

შაბათს და კვირას დათო თურმე ფეხბურთს თამაშობს. ნაწილის ხელმძღვანელობის ნებართვით იგი წამყვანი გუნდის ღირსებას იცავს, უკვე გულშემატკივართა კერპადაც ქცეულა.

მომავალ სასწავლო წელს სამხედრო სამსახურში ნაწრთობი დათო ფეიქრიშვილი ინსტიტუტს დაუბრუნდება. ეჭვი არ მეპარება, რომ იგი საუკეთესო სპეციალისტი დადგება.

**ავთანდილ ციბაძე.**

**სურათზე: დათო ფეიქრიშვილი.**

# 13 დეკემბერს, ტოკიოში

13 დეკემბერს ტოკიოში დაინიშნა საკონტინენტთაშორისო თასის გადამწყვეტი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის, „კოპა ლიბერტადორის" მფლობელი ურუგვაის „პენიაროლი" (მონტევიდეო) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი, პორტუგალიის „პორტუ" (ქ. პორტუ).

# მეშვიდე ტრადიციული...

**წელს** მეშვიდედ უმასპინძლა გორმა მოსწავლე ძიუდოისტთა საკავშირო პირად-გუნდურ პირველობას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონის დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის პრიზზე. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის, მაიკოპის და კასპის მოჭიდავეები. უამინდობის გამო ვერ ჩამოფრინდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ფრუნზეს, კიევისა და ბალტიისპირეთის ნაკრები გუნდები.

**შედეგები**

**49 კგ.** 1. ვ. მაზიაშვილი, 2. გ. ვაზაგაშვილი (ორივე — გორი), 3. დ. კრივიხი (მაიკოპი), ს. ქვარიანი (თბილისი); **53 კგ.** 1. ვ. თოთლაძე (საქართველოს პროფკავშირი, გორი), 2. პ. კუდრიავცევი (მაიკოპი), 3. ს. იაშვილი (კასპი), გ. ბაიაძე (გორი); **57 კგ.** 1. ა. ღვინიაშვილი (თბილისი), 2. დ. კაცლაევი, 3. ი. ტაბატაძე (ორივე — პროფკავშირი, გორი), შ. ჯავახიშვილი (გორი); **62 კგ.** 1. ზ. ფსუტური (გორი), 2. ქ. კოზირი (მაიკოპი), 3. დ. მამუკაშვილი, თ. აბალავი (ორივე — გორი); **68 კგ.** 1. ი. უზნაძე, 2. ა. ხაჩიროვი (ორივე — თბილისი), 3. გ. ერისთავი, ა. დონღუზაშვილი (ორივე — გორი); **75 კგ.** 1. ქ. ჯამარზე (მაიკოპი), 2. ზ. ხინჩიკაშვილი (გორი), 3. ბ. კუთხაშვილი (პროფკავშირები, გორი), მ. მაზიაშვილი (თბილისი); **83 კგ.** 1. ბ. ჯამარზე (მაიკოპი), 2. გ. ჯოლბორდი (პროფკავშირი, გორი), 3. ზ. გოჩალეიშვილი (პროფკავშირი, გორი), ქ. ნადირაძე (გორი); **მძიმე:** 1. შ. ბექაური (თბილისი), 2. თ. ოლმესაშვილი (გორი), 3. რ. სხილაძე, ე. ოდიშვილი (ორივე — თბილისი).

**გუნდური:** 1. გორი — 100 ქულა, 2. თბილისი — 81, 3. მაიკოპი — 72.

**ილია თევდორაშვილი,**
**„ლელოს" კორ.**
გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გ. კასპაროვი — ა. კარპოვის მატჩი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის**

# მეთოთხმეტე პარტია

ამ მატჩში თეთრებმა მეორედ დაიწყეს მეფის პაიკით თამაში — e2-e4, მსოფლიოს ექსჩემპიონმა კი ამ სვლას კვლავ c7-c6-ით უპასუხა, აირჩია რა კარო-კანის დაცვა. იმ (X) პარტიაში, გახსოვთ, ალბათ, ბრძოლა მე-20 სვლაზე ყაიმით დამთავრდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამჯერად თუ ჩემპიონი არა, ექსჩემპიონი მაინც გაამწვავებდა ბრძოლას, რადგან იგი ერთი ქულით ჩამორჩება მეტოქეს, მაგრამ ასე არ მოხდა. ისინი „ნაცადი“ გზით წავიდნენ. კარპოვმა მიიღო კასპაროვის წინადადება და 21-ე ავლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

**გ. კასპაროვი — ა. კარპოვი**

**კარო-კანის დაცვა**

1. e4 c6 2. d4 d5 3. მd2 de 4. მ:e4 მd7 5. მf3 მgf6 6. მ:f6+ მ:f6 7. c3 კg4 8. h3 კ:f3 9. ლ:f3 ლd5 10. კe2 e6 11. 0-0 კd6 12. ლd3 კc7 13. კf3 ლd7 14. ეd1 0-0 15. c4 ეad8 16. ლb3 ლe7 17. g3 კb8 18. კe3 ეd7 19. ეd2 ეfd8 20, ეad1 h6 21. a3.

ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია — 7,5:6,5 გარი კასპაროვის სასარგებლოდ. XV პარტია, რეგლამენტით, დღეს, 18 ნოემბერს უნდა გაიმართოს.

## პეკინის მარათონი

**პეკინის** მეშვიდე ტრადიციულ მარათონულ რბენაში გაიმარჯვა ტანზანიელმა ჯუმა იკანგაამ. 27 წლის მორბენალმა 42,195 კმ 2 საათსა, 12 წუთსა და 19 წამში დაფარა. მას სულ 30 წამით ჩამორჩა ეთიოპიელი ნეგასი დუბე, 33 წამით — ავსტრალიელი ბრედ კამპი.

თუმცა იკანგაას ახლანდელი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მისსავე საუკეთესო შედეგს (1984 წელს ტოკიოში — 2 საათი, 8 წუთი და 10 წამი), მაგრამ გამარჯვებული ძალიან კმაყოფილი დარჩა ... წუთებით.

# ზღვიდან როგორ ჩანს ნაპირი?

**ეს** ადამიანები მდიდრებიც არიან და ღარიბებიც. თბილისელი აფროსნობის მოყვარულების სიმდიდრე თბილისის ზღვის ერთი ყურე, 20-მდე ნავი, ტრადიციული შეჯიბრება, თითქმის მთელ წელიწადს რომ გრძელდება და საიალქნო სპორტის დიდი სიყვარულია. ეს ცოტა არ არის. სიღარიბე რაღა შუაშია, იტყვით.

ახლახან თბილისის ზღვის საიალქნო კლუბში გაიმართა ამ კლუბის მცირე საკრეისერო ნავების სექციის წევრთა ტრადიციული შეჯიბრების, თბილისის ზღვის თასის გათამაშების საზეიმო დახურვა. ცერემონიალის შემდეგ აფროსნებს ერთმა ჟურნალისტმა ასეთი კითხვა დაუსვა: აქედან ზღვა ლამაზია, მაგრამ ზღვიდან როგორ ჩანს აქაურობაო? ისეთი, რომ ზღვაში გასულებს აქეთ მოხედვაც არ გვინდაო, — იყო პასუხი.

მართლაც, რა სჯობს შეჯიბრების წინ ზღვას, ორ-სამ რიგად ჩამწკრივებულ ნავებზე აფროსნები ფუსფუსებენ, გაყუჩებული ყურე თანდათან ცოცხლდება და ფერადდება, ისმის მხიარული შეძახილები და აფრების ტკაცუნი... მაგრამ ნაპირზე სხვა სურათია: დგას პატარა, მოუწყობელი ფიცრული, რომელსაც თბილისის ზღვის საიალქნო კლუბი ჰქვია. გასახდელები, საშხაპე და ტუალეტი, ტელეფონი და სასმელი წყალი? უამისოდ როგორღაც გადიან ფონს. დიახ, მიუხედავად ასეთი ხელმოკლეობისა, რა ხანია თბილისის ზღვაზე, მაისიდან ნოემბრამდე ყოველ კვირა დღეს, იმართება თბილისის ზღვის თასის გათამაშების რბოლები. აფროსნების ენთუზიაზმი და კლუბის დირექციის ხელშეწყობა რომ არა, ჩვენ ქალაქს ეს ერთი დიდი და ლამაზი შეჯიბრება მოაკლდებოდა. ვის არ ნახავთ, ვის არ შეხვდებით აქ, ნებისმიერი პროფესიის, თანამდებობისა და ასაკის ადამიანს: ხელოსანსა და კათედრის გამგეს, მუშასა და მხატვარს, ინჟინერსა და ექიმს, მოსწავლესა და მასწავლებელს, სტუდენტსა და ლექტორს.

...შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა დიმიტრი ვარძელაშვილმა გამარჯვებულებსა და პრიზიორებს უხმოთასები და სიგელები გადაეცათ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ტელევიზიის, საქაგრომრეწვის, საქტრანსგაზის და სხვა ორგანიზაციების ეკიპაჟებს. ნავების კაპიტანთა გამოძახებისას ნაცნობ სახელებს მოვკარით ყური. ილო ფერაძე, ვალიკო ქიტუაშვილი, რეზო გაჩეჩილაძე, გიორგი ლაზარაშვილი, გია კოპალეიშვილი, კობა გოდიბაძე და სხვანი სხვადასხვა დროს რესპუბლიკის აფროსანთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ. ასეა, ყველაზე მეტად აფროსნებს უჭირთ სარბიელის მიტოვება, მით უმეტეს, თუ ზღვა გვერდითაა, სხვაგან რა გაჩერებთ? აი, ამ სიყვარულით სულდგმულობს დღესაც თბილისის საიალქნო კლუბი და ეს შეჯიბრებაც, თორემ ძველ სპორტულ მიღწევებს კარგა ხანია ახალი არ მიმატებია. იყო დრო, საქართველოს ჩემპიონატში თბილისელი აფროსნები ხშირად იმარჯვებდნენ, რესპუბლიკის ნაკრებშიც ისინი ჭარბობდნენ. ახლა? თბილისის გუნდს საქართველოს პირველობაზე ბოლო ადგილი აქვს „დაჯავშნული“. მერე რა მოხდა თუ თბილისელებს ბათუმელებმა, სოხუმელებმა და ფოთელებმა აჯობეს, იქ ხომ „ნამდვილი ზღვაა“, პირობებიც უკეთესია — ხშირად გვსმენია ასეთი „არგუმენტი“. ამის გამგონე თბილისელ აფროსნებს კი მწარედ ეცინებათ. იმიტომ ეცინებათ, რომ ასე მხოლოდ დილეტანტები ლაპარაკობენ, სიმწარე კი იმიტომ გაერევათ ღიმილში, რომ ამ „უწყინარი“ დილეტანტიზმის საბურველში გახვეულმა გულგრილობამ მათი „კაპიტალი“ — კარგი სპორტული ტრადიციები — მოკლე ხანში თვალსა და ხელს შუა გააქრო. ამას წინათ აფროსნობაში ყველაზე ავტორიტეტულ კაცს ველაპარაკეთ, სპორტსმენს, რომლის ბიოგრაფია სარწმუნო საბუთი იქნება ყველასათვის. დიახ, ბიგანიშვილმა თბილისის ზღვაზე „აიდგა ფეხი“, მათთან ერთად გაიზარდა, ვინც ახლა თბილისის ზღვაზე მცირე საკრეისერო ნავებით ასპარეზობს, ამჟამად კი სეულის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად იბრძვის.

— თბილისის ზღვაზე აფროსნობის განვითარებისათვის შესანიშნავი პირობებია — მოკლე ტალღა, ხშირი, ცვალებადი ძალისა და მიმართულების ქარი. ხელშეწყობა რომ იყოს, აქ უმაღლესი კლასის აფროსნების მომზადება შეიძლება. ჩემის აზრით, ამ კლუბთან ერთად აუცილებელია თბილისის ზღვის მჭიდროდ დასახლებულ თემქის მხარესაც მოეწყოს პატარა საიალქნო კლუბი. აი, ნახავთ, აფროსნობაში ვარჯიშის მსურველებს თვლა აღარ ექნებათ. საუკეთესოებს მწვრთნელები თბილისის ზღვის საიალქნო კლუბში სავარჯიშოდ გადმოიყვანენ.

გურამს მაშინ ვესაუბრეთ, როცა თბილისის ზღვის თასის გათამაშება ახალი დაწყებული იყო. ის და მისი მწვრთნელი, საკავშირო ნაკრების მწვრთნელი „ვარსკვლავის“ კლასში, თემურ მელაძე შეჯიბრების დახურვის დღეს მოვიდნენ კლუბში. ვისარგებლეთ შემთხვევით და გურამს ოლიმპიურ პერსპექტივებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. მოკლედ მოგვიჰყვა: გაისად, მარტში, იუგოსლავიაში მოეწყობა ევროპის ჩემპიონატი „ვარსკვლავის“ კლასში და, ალბათ, სეულის საგზურის ბედი იქ გადაწყდებაო. თემურ მელაძემ უფრო დაწვრილებით აგვიხსნა, რა და როგორ იქნება.



— ახლა ამ კლასში სეულში გამგზავრების სამი კანდიდატია: ბიგანიშვილი, ვიქტორ პოტაპოვი და ვიქტორ სოლოვიოვი. ნაკრების წევრთა შერჩევა საკავშირო თასის გათამაშებასა და ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების მიხედვით ხდება. წელს პოტაპოვმა თასის გათამაშებაში გაიმარჯვა, ჩემპიონატში კი მეოთხე იყო. სოლოვიოვმა ჩემპიონატში იმარჯვა, თასისთვის ბრძოლაში კი მეხუთე ადგილი დაიკავა. ბიგანიშვილმა ორივე შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა, ასე რომ, მან უფრო სტაბილურად იასპარეზა და ნაკრების წევრობის პირველ კანდიდატად დარჩა. მწვრთნელთა საბჭო, რა თქმა უნდა, საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლის შედეგებსაც ითვალისწინებს. გურამმა წელს იტალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა. ცხადია, ეს მისი საკადრისი შედეგი არ იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მესამე რბოლის შემდეგ მან უკეთესი ადგილის დაკავების ყოველგვარი შანსი დაკარგა, რადგან ანძა გაუტყდა და რბოლა შეწყვიტა. დიდი კონკურენციის პირობებში ასეთი დანაკლისის ანაზღაურება და საუკეთესოთა შორის მოხვედრა შეუძლებელია. არადა, ეს დაბრკოლება რომ არა, იგი ექვს ან რვა საუკეთესო აფროსანს შორის მოხვდებოდა. საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა საბჭომ ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გაითვალისწინა. მოგვიანებით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კილში გამართულ ამავე რანგის შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას პოტაპოვი იცავდა, საკავშირო სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ მისი გამოსვლა (მე-17 ადგილი) არადამაკმაყოფილებლად შეაფასა, ასე რომ, ბიგანიშვილი „ვარსკვლავის“ კლასში ნაკრებისა და სეულში გამგზავრების ნომერი პირველი კანდიდატია, თუმცა ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლების მოსაპოვებლად კიდევ ბევრი ბრძოლა მოუწევს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოდით, ისევ თბილისის ზღვის საიალქნო კლუბსა და თბილისელ აფროსნებს დავუბრუნდეთ. უცნაურია. აქ აღზრდილი აფროსანი სეულის ოლიმპიადაზე ფიქრობს, ამ ქალაქის აფროსანთა ნაკრები კი ახლა ყველაზე მცირერიცხოვანი და ღარიბია საქართველოში, იმდენად, რომ მეტოქეები სათვალავშიც არ აგდებენ. თბილისის ზღვაზე აფროსანთა არაერთი თაობა აღიზარდა. ძველებიდან უმრავლესობა უკვე ჩამოცილდა დიდ სპორტს. მოყვარული გახდა, ბევრს შეაყვარა სპორტის ეს სახეობა, დრო გადის, მათი შემცვლელები, მათი ტრადიციების გამგრძელებლები კი არ ჩანან.

ხელშეწყობა რომ ჰქონდეთ, იქნებ იმ მოზარდებმაც ივარგონ, დღეს რომ ერთგულობენ აფროსნობას, ხშირად ამოდიან საიალქნო კლუბში და ზღვას მეოცნებე თვალებით გაჰყურებენ.

**თამაზ მიგრიაული.**

**სურათზე: „მეგობრობის“ ეკიპაჟი (მარცხნიდან) — ბორის შაგინიანი, გია კოპალეიშვილი (ნავის კაპიტანი), გურამ კუციავა, შოთა და ალექსანდრე კოკაიები.**

მ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმი).

# „იუგოპლასტიკა“ გუშინ და დღეს

**დღეს** ძნელია ითქვას სპლიტში რა უფრო უყვართ — ფეხბურთი თუ კალათბურთი.

„იუგოპლასტიკას“ აღზევებას სავსებით სამართლიანად უკავშირებენ ენთუზიასტი მწვრთნელის ბრანკო რადვიჩის სახელს, რომელმაც მოკლე დროში არაფრისაგან ევროპული კლასის გუნდი შექმნა. 70-იანი წლები „იუგოპლასტიკას“ ისტორიაში საუკეთესოა. იგი ორჯერ, 1971 და 1977 წელს გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ბევრჯერ იყო ვიცეჩემპიონი და თასის მფლობელი, წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო სარბიელზე. 1972 წელს „იუგოპლასტიკა“ გავიდა თასების მფლობელთა თასის ფინალში, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში სალონიკში ლენინგრადის „სპარტაკთან“ დამარცხდა — 62:77. საერთაშორისო სარბიელზე „იუგოპლასტიკას“ პირველი დიდი წარმატება იყო 1976 წელს რ. კორაჩის თასისთვის ბრძოლაში გამარჯვება. პირველ ფინალურ მატჩში მან სპლიტში დაამარცხა ტურინის „ჩინომარტინი“. მეორე წელს კი შეძლო რ. კორაჩის თასის შენარჩუნება. 1977 წელს „იუგოპლასტიკამ“ მეორედ მოიპოვა იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტული. ამის შემდეგ გუნდში დაიწყო თაობათა ცვლის პროცესი. იგი თანდათან თმობდა მოწინავე პოზიციებს და ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწია. გუნდი ჯერ უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, 1985 წელს იუგოსლავიის თასის გათამაშების ფინალში გავიდა, შარშან კი აქტიურად იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. „იუგოპლასტიკამ“ განსაკუთრებით ძლიერად დაიწყო თამაში ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში. ჯერჯერობით საუცხოო შედეგი აქვს — 7 მატჩი, 7 გამარჯვება, მათ შორის „ციბონასთან“ — 98:95. გუნდის წარმატებებს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოჩენას უკავშირებენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ იუგოსლავიის ნაკრების წევრი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო III ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე 19 წლის ტონი კუკოჩი (208). კარგად თამაშობენ აგრეთვე 20 წლის დინო რაჯა (210), 24 წლის ივან სობინი (205), 22 წლის ველიმირ პერაზოვიჩი (195) და 17 წლის მარიანა კრალევიჩი (213). გუნდის აღორძინებაში თავისი წვლილი შეიტანა გუნდის მწვრთნელმა ბოჟედარ მალიაკოვიჩმა.

ერთი სიტყვით, „იუგოპლასტიკა“ თანდათან იბრუნებს ძველ პოზიციებს.

## რამდენად რეალურია?

1989 წელს მაროკოში ფრანგულენოვანი ქვეყნების პირველი სპორტული თამაშები უნდა ჩატარდეს. ასეთი შეთანხმება ჯერჯერობით ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების ხელმძღვანელებმა მიიღეს.

მაგრამ ადვილი შესაძლებელია გაუთვალისწინებელი პრობლემები წამოიჭრას. მაგალითად, თამაშებში მონაწილეობის უფლება ექნებათ თუ არა კვებეკის (კანადა) პროვინციის წარმომადგენლებს, სადაც ინგლისურ ენაზე მეტად ფრანგულია გავრცელებული? ან რამდენი ქვეყნის მონაწილეობაა სავარაუდო? მოლაპარაკებას კვებეკში ამ საკითხზე 37 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის ეგვიპტისა, თუმცა ეგვიპტეში ფრანგულად მოსახლეობის მცირე ნაწილი ლაპარაკობს.

## „სპორტპროგნოზი“

**46-ე ტირაჟის შედეგები (14-16 ნოემბერი)**

1-1, 2-1, 3-2, 4-X, 5-1, 6-2, 7-X, 8-1, 9-X, 10-2, 11-2, 12-X, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 46-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 3 (ბობსლეი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (საცხენოსნო სპორტი), 21 (ცურვა), 35 (მაიბიანი ჰოკეი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 20 (აფროსნობა), 21 (ცურვა), 29 (სასტენდო სროლა).

## წელიწადი — მკითხველი

**ჩიკაგო.** დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „ვირჯინია სლიმზი“. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) და 16 წლის მინსკელმა ნატალია ზვერევამ. გამარჯვება ამჯერად გამოცდილ ამერიკელს დარჩა (6:1, 6:2), თუმცა ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელის ფინალში თამაში თავისთავად დიდი წარმატებაა.

**კუნგელვი** (შვეცია). ლენინგრადის „ავტომობილისტი“ წარმატებით გამოდის ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირში (ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში). ამჯერად ნევისპირელმა სპორტსმენებმა ადგილობრივი „კუნგელვი“ დაამარცხეს — 3:0 და გათამაშების მომდევნო ტურში გავიდნენ.

**ვარშავა.** კრივის პოპულარული პოლონელი სპეციალისტის ფელიქს შტამის მემორიალი ყოველწლიურად ძლიერ სპორტსმენებს უყრის თავს. ამჯერად ტურნირის ფინალში ოთხი საბჭოთა მოკრივე გავიდა, რომელთაგან სამმა გამარჯვება მოიპოვა. ესენი არიან: კიშინიოველი ტიმოფეი სკრიაბინი (51 კგ, დაამარცხა კუბელი რაულ გონსალესი), რიგელი ანდრეი ტროცენკო (67 კგ, დაამარცხა კანადელი ნიკო რუპა), ყაზანელი ფაატა გატინი (54 კგ, დაამარცხა ნევინომინსკელი იური ალექსანდროვი).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66436**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07230